ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VII 2015

ეთერ ინწკირველი

ბიბლიური ანთროპოგონიის ფოლკლორული ტრანსფორმაცია

ანთროპოგონია, როგორც კოსმოგონიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ფოლკლორში, როგორც მოსალოდნელი იყო, კოსმოგონიურ გადმოცემებთან კავშირში გვხვდება. რამდენადაც ქართულ ფოლკლორში ძირითადად ბიბლიური შესაქმის მოტივები მეორდება, შესაბამისად, ანთროპოგონიაც ბიბლიურ გადმოცემას ემყარება, ცხადია, გარკვეული ფოლკლორული ინოვაციებითა და ინტერპრეტაციებით.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის გავრცელება სხვადასხვა ხალხში პირველივე საუკუნეებში დაიწყო ქადაგებათა საშუალებით. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო იქნებოდა და ქრისტიანობა თავდაპირველად ჩვენში სწორედ ზეპირი გზით შემოვიდოდა, რათა ნიადაგი მოემზადებინა ოფიციალური ეკლესიისთვის. ამ თვალსაზრისით, ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე ქრისტიანობისთვის დიდი სამსახური უნდა გაეწია ქრისტიანულ ფოლკლორს, ძირითადად, ლეგენდებსა და ბიბლიური სიუჟეტების ფოლკლორულ ვერსიებს; მეტიც: წერა-კითხვის დეფიციტის პირობებში, ზეპირსიტყვიერი კულტურის როლი მეტად აქტიური იქნებოდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა საშუალება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კოსმოგონიის ქართულ ვარიანტებში ხშირად მამა ღმერთის ნაცვლად ქრისტე ღმერთი არის როგორც სამყაროს, ისე ადამისა და ევას შემქმნელი.[1] ეს ფაქტორი, გარდა იმისა, რომ ქართული კოსმოგონიური ფოლკლორის ქრისტიანულ ხასიათზე და ღმერთის დაკონკრეტების მცდელობაზე მიანიშნებს, მკვეთრად გამიჯნავს ქართულ ნარატივს საქართველოში ასევე მრავლად და მძლავრად წარმოდგენილი იუდეური სარწმუნოებისგან. ებრაული დიასპორა კი ძველი წელთაღრიცხვიდან იკიდებდა ფეხს საქართველოში და, სავარაუდოდ, ლეგენდებისა და თქმულებების სახით ავრცელებდა თავის სარწმუნოებას. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიური ფოლკლორი საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე ვრცელდებოდა და ნელ-ნელა მკვიდრდებოდა.

ბიბლიური ანთროპოგონია, როგორც შესაქმის ნაწილი, სხვადასხვა მოტივისგან შედგება. ქართულ ფოლკლორში რამდენიმე მოტივია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამიტომ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ:

ადამის შექმნა მიწისგან. ქართულ ფოლკლორში გამონაკლისის გარეშე არის გადასული ადამის მიწისგან (ზოგ ვარიანტში — თიხისგან) შექმნის მოტივი: "როდესაც ადამიანები არ არსებობდნენ, ღმერთმა თქვა: მოდი, ადამიანებს გავამრავლებო. აიღო თიხა და გამოძერწა კაცი. შემდეგ ჩაბერა

[1] "იესებ ქრისტემ თიხისაგან გააკეთა ადამიანი, ჩაბერა თავისი უკვდავი სული და გადეიქცა ადამიანად, მარა თვალები არ გაუხილავს" (მასფა, სამტრედია, ჩამწ. ანა გეფერიძე)

თავისი უკვდავი სული, გააცოცხლა და ადამი დაარქვა"[2] (მასფა: თელავი, 70-იანი წწ.). პოეტურ ვარიანტებში ხაზგასმულია მისი ყვითელი ფერი:

"ძირიდგან მიწა ეიღო, მიწა იყო ყვითლის ფერი.

ამას სული ჩაუბერა, - ადამ დაგდვა კაცის ფერი" (პოეზია, 1973, გვ. 102).

თავის ცნობილ წიგნში - "ფოლკლორი ძველ აღთქმაში" - ჯეიმს ჯორჯ ფრეზერს ვრცელი მასალა მოჰყავს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ხალხის ფოლკლორიდან, სადაც მიწა ან თიხა ძირითადად წითელია, რითიც ესა თუ ის ეთნოსი ადამიანთა სისხლის სიწითლეს ხსნიდა (ჯ. ფრეზერი, 1989, გვ. 28).[3] საგულისხმოა, რომ ქართულ ტრადიციაში მიწა წითელი კი არ არის, არამედ ყვითელია, რომელსაც ადამიანის ფერი ედება ღმერთის სულის ჩაბერვით. ხოლო ლეგენდის აჭარულ ვერსიაში საუბარია ადამიანის შვიდნაირი მიწისგან შექმნაზე, რითიც, სავარაუდოდ, ადამიანური ბუნების მრავალფეროვნებაა გამოხატული.[4] ღმერთის დავალებით, წინასწარმეტყველები შვიდნაირი მიწისგან ტალახს ამზადებენ, გააკეთებენ ადამს, როგორც კაცის სურათს და შემდეგ შთაბერავენ მას სულს (ა. თანდილავა, 1990, გვ. 93-94). ასევე, ერთ-ერთ აჭარულ ტექსტში, რომელსაც გ. მახარაშვილი იმოწმებს თავის სტატიაში, ღმერთმა ეზრაელს (სულთამხუთავს) უბრძანა, მიწა სხვადასხვა ადგილიდან აეღო, რათა ადამიანები ერთი ფერისანი არ ყოფილიყვნენ (გ. მახარაშვილი, 2004, გვ. 156).

აჭარული ფოლკლორი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ანთროპოგონიურ გადმოცემებში სრულიად განსხვავებული და გამორჩეულია აჭარული ტექსტები, რომელთა განსხვავებულობაზე თავისი კვალი მუსლიმთა საღვთო წიგნს - ყურანს უნდა დაეჩნია.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორული არქივის აჭარული "თქმულება ადამიანის გაჩენაზე"[5] მოგვითხრობს, რომ როდესაც ღმერთმა ადამიანის შექმნა გადაწყვიტა, მიწის მოტანა ერთ მელაიქს (ანგელოზს) დაავალა. აჭარული ვარიანტების უმრავლესობაში ადამიანის სხეულს მიწისგან ქმნის არა ღმერთი, არამედ მისი ბრძანებით ქმნიან მელაიქები, წინასწარმეტყველები და სხვ[6]. თითქმის ყველა აჭარულ ვარიანტში მიწა პერსონიფიცირებულია, რადგან ის უარზეა, გაჰყვეს მელაიქს იმ მიზეზით, რომ "ადამიანი ამქვეყნად რა ცოდვასაც

[2] "ადამი და ევა მიწითგან ყოფილან გაჩენილნი. შეხვდნენ თურე ერთმანეთს აი მიწიდან აშენებული ადამი და ევა" (თსუფა: 16466).

[3] ფრეზერს ასევე მოჰყავს დასავლეთ აფრიკის გადმოცემები, რომლებშიც ახსნილია, რომ კარგი თიხისგან კარგი ადამიანი შეიქმნა, ცუდი თიხისგან – ცუდი და ა.შ. (ჯ. ფრეზერი, 1989, გვ. 25).

[4] ებრაულ ტრადიციაში ადამის სხეულის შესაქმნელად შემოქმედი მიწას სამყაროს სხვადასხვა ნაწილისგან აგროვებს, ხოლო ადამის თავისთვის მხოლოდ ისრაელის წმინდა მიწას იყენებს (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 53).

[5] "ჯერ კიდევ მილიონი წლის წინათ, როცა ამქვეყნად ადამიანი არ იყო, ღმერთმა გადაწყვიტა, მიწიდან გაეკეთებინა ადამიანი..." - მთქმელი მამუდ ქათამაძე, ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათის მკვიდრი. ჩამწერი გულნარა ქათამაძე, 1970 წ.

[6] მსგავსი მოტივი გვხვდება აპოკრიფში "იოანეს საიდუმლო წიგნი": გაამპარტავნებული ანგელოზი – სათანაელი ქმნის ადამიანს თავისი სახის მსგავსად. შექმნა ორი ადამიანური სხეული თიხისგან და მეორე ცის ანგელოზებს უბრძანა შიგ შესვლა. შეიქმნა მამაკაცი – ადამი და ქალი – ლილითი. ისინი გამუდმებით კამათობდნენ, რადგან სათანაელის სახედ იყვნენ შექმნილნი. მათი კამათით შეწუხებული სათანაელი დააშორებს ადამსა და ლილითს და დაძინებული ადამის სხეულის ნაწილისგან ქმნის ევას (Тайная книга Иоанна - http://derzhavarus.ru/apokrif-tajnaya-kiga-ioanna.html ტექსტის დამოწმება 28.06.2015).

ჩაიდენს, მე დამებრალებაო. არც მეორე მელაიქს, სახელად ეზრაელს გამოჰყვა მიწა, რომელიც გაბრაზდა, ერთ გორს დაატანა ხელი და ღმერთს მიუტანა"[7] (მასფა: ბობოყვათი, 1970).

მიწის წინააღმდეგობის მოტივი გვხვდება, ასევე, სხვა აჭარულ ჩანაწერებში, რომლებიც თ. შიოშვილს მოჰყავს თავის სტატიაში.[8] მოცემულ პასაჟს მკვლევარი ყურანს უკავშირებს.[9] მისი აზრით, "ადამიანის გაჩენაზე უარის მოტივს ძველი აღთქმის ამბავი (პირველქმნილი ცოდვა და ძმის მიერ ძმის სისხლის დაღვრა) დაედო საფუძვლად, რადგანაც, როცა ყურანი იწერებოდა, ძველი აღთქმისეული ლეგენდები საყოველთაოდ იყო ცნობილი" (თ. შიოშვილი, 2010, გვ. 81); გ. მახარაშვილი კი ადამიანის დანიშნულებისა და მისი ზნეობრივი მისიისადმი ზეპირსიტყვიერების დამოკიდებულებით ხსნის (გ. მახარაშვილი, 2004, გვ. 156).

მიწის პერსონიფიკაციით მიწიერისა და ზეციერის, სხეულისა და სულის სუბსტანციის მკვეთრი გამიჯვნა ხდება. ადამიანურ ცოდვებს მის მიწიერ ბუნებას მიაწერს ქრისტიანობაც, რაც, სხვათა შორის, სასულიერო ჟანრის ხალხური ლექსების გავრცელებული თემაა და ხშირად გვხვდება ქართულ ხალხურ პოეზიაში; მაგალითად "სულისა და ხორცის ლექსში", სადაც სულისა და ხორცის გაბაასებაა მოცემული, სული უჩივის ხორცს:

"მაგ მწარე ცოდვა შიგანა, მადლ ხო არ მომაკარეო.
გამგზავნე ცოდვითა სავსე, მადლისგან ცარიელიო".
ხორცი აღიარებს თავის დანაშაულს:
"სულო, შე დაღონებულო, მეც ბევრი ავი გიყავო,
მე შენ მტრობაში ვაღამე, სანამ ცოცხალი ვიყავო" (პოეზია, 1973, გვ. 166).

მიწიერისა და ზეციერის დაპირისპირება შედარებითი თეოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელზეც თითქმის უსიტყვოდ თანხმდება ყველა რელიგია.

"ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა". აჭარულ ვერსიაში საყურადღებოა კიდევ ერთი მოტივი, რომელიც ადამიანის ღვთის ხატად შექმნის ტრანსფორმირებულ ვერსიას წარმოადგენს: მელაიქები (ანგელოზები) ღმერთის დავალებით მიწისგან ქმნიან ტანს, მაგრამ არ შესწევთ უნარი, შექმნან თავი/სახე, რომლის შექმნაშიც თვითონ ღმერთი ერევა: "ღმერთმა მელაიქებს ადამიანის

[7] ღმერთის მიერ დედამიწისთვის მიწის თხოვნა გაძლიერებულია მისი გასამმაგებით: ღმერთის მიერ გაგზავნილ სამ ანგელოზს მიწა უარს ეუბნება, მეოთხე ანგელოზს - ღეზრაელს ("ეს არის სულის ამრთმეველი") კი ძალით მოაქვს მიწა შვიდი ადგილიდან და ასე აკეთებენ ადამიანს (ნფიბა, საქმე №133, გვ. 12-17).

[8] ღმერთი უბრძანებს ანგელოზებს ადამიანის ტალახისგან შექმნას, მაგრამ დედამიწა სასტიკ უარს განაცხადებს, მიწას არ აძლევს ანგელოზებს და უარს ასე ასაბუთებს: "ცოდვიანი ადამიანები უნდა გაჩნდნენ და მერე ისევ მერ უნდა მჯლაგნონო" (ნფიბა, საქმე №240, გვ. 37).

[9] ყურანის მიხედვით, როდესაც ალაჰმა ადამიანის შექმნა გადაწყვიტა, "უთხრა (შენმა) უფალმა ანგელოსებს: მე დავადგენ ქვეყანაზე ჩემს შემცვლელსო. მიუგეს: - განა ადგენ შენ იქ იმას, ვინც უკეთურებას ამრავლებს მასზე და სისხლს დაღვრის. მაშინ, როცა ჩვენ ქებით გადიდებთ და გასპეტაკებთო?! უთხრა — მე ვიცი ის, რაც თქვენ არ იცით!" (ყურანი **II, 28**).

[10] გნოსტიკურ აპოკრიფებში, მაგალითად, "არქონტთა არსში" ადამიანის სხეულს არა ღმერთი, არამედ სწორედ არქონტები ქმნიან: არქონტებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ ადამიანი მიწის ფერფლისგან. მათ გამოძერწეს თავიანთი ქმნილება. ეს იყო მთლიანად მიწიერი ადამიანი. მათ სხეული გააკეთეს თავისი მსგავსი, ხოლო სახე მიამსგავსეს წყალში არეკლილი ღმერთის სახეს. შექმნეს და დატოვეს მიწაზე, რადგან უსულო იყო, თვითონ კი არ შეეძლოთ მისი გაცოცხლება (აღდგინება). ადამი მხოლოდ მას შემდეგ ცოცხლდება - სულიერი ხდება, რაც ღმერთის სული შედის მასში (Сущность Архонтов - www.biblicalstudies.ru/Lib/Gnosys/Archont.html ტექსტის დამოწმება 28.06.2015).

ფორმა მისცა, მაგრამ თავი ვერ გაუკეთეს. ღმერთს მოახსენეს, რომ ადამიანი კისრამდე გავაკეთეთ, მაგრამ არ ვიცით, თავი როგორ გავუკეთოთო.[10] ღმერთმა თავის აგებულება თვითონ გააკეთა. ერთ მელაიქს უბრძანა სულის ჩაბერვა. ჩაუბერა მელაიქმა სული და მიწიდან გაკეთებული ადამიანი გაცოცხლდა. ღმერთმა მელაიქ ეზრაელს უბრძანა: ადამიანი გავაჩინე და მისი სულის ამრთმევი შენ უნდა იყოვო (მასფა, უშიფრო ჩანაწერი, 1970 წ).

ქართულ ხალხურ ტექსტებში ხშირად იკვეთება ბიბლიური ცოდნა ადამიანის ღვთის სახედ და მსგავსად შექმნის შესახებ, თუმცა ამ მხრივ განსხვავებულია დმანისის რაიონში ჩაწერილი "ლეგენდა ევაზე", რომლის თანახმად, ადამსა და ევას აქვთ სახე, მაგრამ არ აქვთ ტანი: "ჯერ კიდევ, როცა ადამიანი არ იყო ჩამოყალიბებული, იყო ორი ადამიანი, ადამა და ევა, რომლებსაც ტანი არ ჰქონდათ, მარტო სახე ჰქონდათ". ეშმაკი აცდუნებს ევას: "ეგ ყველაზე კარგი ხილია და ღმერთი თავისთვის ინახავსო. ევამ ჭამა ეს ხილი და ადამიანად იქცა. მაშინ დაინახეს ადამიანიშვილის ტანი. ამ ხნიდან ჩაეყარა საფუძველი ადამიანთა განვითარებას" (მასფა, დმანისი, 1980); აქ კარგად ჩანს, როგორი ტრანსფორმაცია განუცდია ბიბლიურ მოტივს ხალხურ ცნობიერებაში: ის თითქოს პირდაპირ არის გაგებული, მაგრამ სრულიად სხვა ლეგენდას ქმნის იმის გათვალისწინებით, რომ ამ ვარიანტში ადამი საერთოდ არ იქმნება მიწისგან.

ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში წმინდა მამათა წერილებში შენიშნულია ბიბლიური შესაქმის ერთი ორაზროვნება: ბიბლიაში ადამიანის შექმნაზე საუბარი არის ორჯერ: პირველი - როცა ღმერთი გადაწყვეტს საკუთარ ხატად და მსგავსად შექმნას კაცი და ქმნის მას/მათ დედაკაცად და მამაკაცად: "თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" (დაბ. 1: 26-27) და მეორე - როცა მძინარე ადამის გვერდის გამოღებით ქმნის ევას: "უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა" (დაბ. 2: 21-22).

ჟორჟ ფრეზერი ამ ორაზროვნებას ბიბლიის რედაქტორს მიაწერს, რომელმაც ორი სხვადასხვა წყარო გააერთიანა ერთ ვერსიად (ჟ. ფრეზერი, 1989, გვ. 14). მაგრამ ებრაულ მიდრაშებში, კერძოდ "ბერეშით-რაბაში" საუბარია ადამის ანდროგინულ წარმოშობაზე: "ადამი და ევა შეიქმნენ ერთიან არსებად, ზურგებით შეერთებული მხრებამდე; მაშინ ღმერთმა ისინი ცულის ერთი დარტყმით გააცალკევა". სხვა წყაროებით კი "პირველი ადამიანი — ადამი იყო ქმარი მარჯვენა მხრიდან და ცოლი მარცხენა მხრიდან. ღმერთმა გაყო ისინი ორ ნახევრად"[11] (შდრ., ანდროგინის მითი პლატონის "ნადიმი" თავი XIV—XV).

ქართულ ფოლკლორშიც, ასევე, ორგვარად არის მოცემული ადამისა და ევას შექმნა: ზოგიერთ ვარიანტში ევა ადამთან ერთად იქმნება: "პირველ

[11] Bereshith rabba, I, 1, fol. 6, col. 2 (ტექსტი დამოწმებულია წიგნიდან - მ. ელიადე, 1998, გვ. 313/ იხ. აგრეთვე ვეისმანი, 1990, გვ. 55, 62).

[12] ჯავახური ვარიანტი: "პირველ გამჩენელმა ღმერთმა ადამ, ევა გააჩინა, უკვდავების ბაღი მისცა, ორნივ ერთად დაადგინა" (პოეზია, 1973, გვ. 99).

გამჩენელმა ღმერთმან ადამ, ჰევა გააჩინა" (პოეზია, 1973, გვ. 105). ეს განსაკუთრებით იმ ვარიანტებშია, რომელთა მთავარი თემა ცოდვით დაცემაა,[12] მაგრამ ვარიანტთა უმრავლესობაში შემონახულია ევას ადამის **გვერდისგან შექმნის მოტივი**, თუმცა ეს მოტივი ტექსტებში გვხვდება როგორც გვერდის, ასევე ნეკნის/წიბოს ვარიანტით:

"მასუკან კიდევ უხერხეს, მას ამოსჭრედ გვერდის წკნელი,

ადამს უწოდეს ცოლათა, არვინ იყო მისი მდრელი" (პოეზია, 1973, გვ. 102).

ქართულ ფოლკლორში მრავლადაა წარმოდგენილი ღმერთის მიერ ადამისთვის ევას შექმნის მოტივაცია, რაც ბიბლიაშივე არის გამოკვეთილი: "და თქვა ღმერთმან: არა კეთილს არს ყოფად კაცისა ამის მარტოსა. უქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი" (დაბ. 2:18). თეოლოგ თ. ბუაძის ახსნით, "ეს მუხლი ნათლად მიანიშნებს, რომ ბოროტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება მარტოობაში, იზოლაციაში, დაყოფასა და ფრაგმენტულობაში მდგომარეობს" (თ. ბუაძე, 2014, გვ. 9).

ადამის მარტოობა ფოლკლორში საკმარის საფუძველს ქმნის, რათა გამოიხატოს ღმერთის თანაგრძნობა ადამის მარტოობის გამო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფოლკლორული მოტივაციები უფრო ხშირად პროზაულ ვარიანტებში გვხვდება, როდესაც მთქმელს ახსნა-განმარტების მეტი საშუალება აქვს და, შესაბამისად, მეტი ცვლილება შეაქვს თხრობაში, რაც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მის სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული: "ახლა თქვა ღმერთმა: - ცოდოა, მოსწყინდა ამ კაცს მარტოკა, მოდი, თანაშემწედ დედაკაცს მივუჩენო. დააძინა ეს კაცი, გამოუჭრა მარჯვენა გვერდი, გააკეთა მისგან ქალი, ისიც სამოთხეში დაასახლა და უწოდა ევა (თსუფა, 13401);[13] აჭარულ ვარიანტში ადამი თვითონ სთხოვს ღმერთს, ვინმე დამლაპარაკებელი გაუჩინოს ღმერთმა. ასევე, თვითონ სთხოვს მეუღლის გაჩენას მესხური პოეტური ვარიანტის მიხედვით:

"ღმერთმა ადამსა უბრძანა: - რათ არ მისცემ სახელებსა?

– სახელები ვინ მოსთვალოს, მე დავეძებ მეუღლესა.

ყველა ცხოველს თავისი ჰყავს, არ მიეცი პირმეტყველსა" (პოეზია, 1973, გვ. 97).

ადამისა და ევას ფიზიკური მდგომარეობა. მესხური ჩანაწერი მოგვითხრობს, რომ ადამი და ევა "ნათლით დადიოდნენ სამოთხეში, ეს ხილი რომ შეჭამეს თვალები აეხილათ" (თსუფა: 3684);[14] ხოლო პროზაული რაჭული ვარიანტის მიხედვით — "ღვატლით იყვენ შემოსვილი, როგორც ფრინველია ახლა. ღმერთმა შეიყვანა სამოთხის ბაღში ადამ და ევა. მათ არ ჰქონდათ

---

[13] "ადამი მარტო დაიარებოდა, ღმერთმა თქვა: ცოდოა მარტო რომ დადის, ამხანაგს გავუჩენო. დაიწყო ქალის გამოძერწა. ადამს მარცხენა მხარი ჩამოაჭრა და ქალს გადაუნერგა, რადგან ქალი მისი მონა უნდა ყოფილიყო. მასაც ჩაბერა თავისი უკვდავი სული და ისიც გააცოცხლა, მან ქალს ევა დაარქვა" (მასფა: თელავი, 70-იანი წწ.);

[14] ასევე მესხური: "პირველად, სულ პირველად ერთი სხვა ღმერთი იყო. ამ ღმერთმა გააჩინა ადამ და ჰევა. მათ მისცა სამყოფელად ედემის ბაღი და უთხრა, რომ ეს იქნება თქვენი ადგილსამყოფელი. და იყვნენ შიშვლები, მხოლოდ ნათელი ებურათ" (მასფა: ადიგენი); "შეჭამეს და გასცვინდათ ნათელი" (თსუფა: 13401); რაჭული პოეტური ვარიანტი: "ადამ ნათლით შემოსილსა არ უნდოდა ტანსაცმელი" (პოეზია, 1973, გვ. 102).

თვალები და უთხრათ: მე წავალ და იაგუნდი თვალებ მოგიტანთო, რო ერთმანეთის არ შეგშურდეთო. გველი იყო და იმას უთხრა კლიტეში გეეყარეო. ღმერთი რო წამოვიდა, იმათთან მივიდა გამოვარდნილი ეშმაკი და უთხრა: სისოო, გააღე კარებიო. ვინა ხარაო, - კითხეს. მამა ღმერთი მოვედიო. სისომ კარები გააღო და სამივეს შეაჭამა ხილი, რომელიც ღმერთისგან აკრძალული ჰქონდათ და **სამივეს გაცვდათ ღვატლი**" (თსუფა, 25801).

გველი, ადამიანების მსგავსად, ღვატლით არის შემოსილი და რაჭულ, როგორც პოეტურ ისე პროზაულ, ვარიანტებში ის სამოთხის ბაღის დარაჯია. ეშმაკი მასაც ისევე აცდუნებს, როგორც ადამსა და ევას, გააღებინებს რა სამოთხის კარს ღმერთის სახელით. გველი თვითონ არის მსხვერპლი და, ამდენად, ადამიანებთან ერთად იზიარებს სასჯელს. შეიძლება ითქვას, რომ რაჭულ ვარიანტებში ნათლად ჩანს ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში არაერთგზის დადასტურებული მოსაზრება, რომ სინამდვილეში არა გველი, არამედ სატანა აცდუნებს ადამსა და ევას.[15]

ეშმაკი და არა გველი აცდუნებს ევას პ. უმიკაშვილის მიერ მესტვირე მიხეილ ერაძისგან რაჭაში 1875 წელს ჩაწერილ ლექსში, სადაც იესო ქრისტე "თვითონ ი ჩვენი გამჩენი" (პოეზია, 1973, გვ. 102) ბაღში დაასახლებს ადამს და ევას, ხოლო "შეკრეთ"[16] (კართან მდგომი, მცველი) დაუყენებს ერთ გველს, თვითონ კი მიდის "ხმელეთი აქვს დასავლელი" (პოეზია, 1973, გვ. 102). როდესაც მასთან მიდის ეშმაკი, გველი კარს არ უღებს და ეშმაკი იძულებულია, ტანსაცმელი გამოიცვალოს (ანუ სახე შეიცვალოს) და დააჯეროს გველი, რომ ღმერთი დაბრუნდა. მხოლოდ ამის შემდეგ აღებს კარს გველი და სამოთხეში ეშმაკი შეაღწევს.

მოცემული ვარიანტი იმითაცაა საინტერესო, რომ გველის თავდაპირველი სახე მოაზრებულია ხელებითა და ფეხებით, რადგან ცოდვით დაცემის შემდეგ, მიწაზე დაგდებულ გველს ღმერთი იმით წყევლის, რომ "აღარც შეარჩინა ფეხი, აღარც შეარჩინა ხელი; მიწა მისცა საჭმელათა..." (პოეზია, 1973, გვ. 103). იუდაისტური მიდრაშის გადმოცემით, ადრე გველს ჰქონდა ორი ფეხი და ადამიანივით მოძრაობდა დედამიწაზე (მეშკოვი, გვ. 38). ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ შუასაუკუნეების ევროპულ იკონოგრაფიაში გველი გამოსახულია ორ ფეხზე მდგომ არსებად, რომელიც საკუთარი ხელით აწოდებს ევას ხე ცნობადის ნაყოფს.[17]

რაჭულ პროზაულ ვარიანტში სამოთხის მკვიდრთა "ღვატლით", ანუ ფრინველის ბუმბულით აღჭურვას ერთგვარი მხატვრული ღირებულებაც აქვს,

---

[15] ამავე მოსაზრებას ემყარება ებრაული მიდრაში, რომლის თანახმად, როდესაც სამაელმა (ყველაზე დიადი ანგელოზი)გადაწყვიტა ადამის შეცდენა, თავისი მიზნისთვის აირჩია გველი. ყველაფერი, რასაც გველი ამბობდა, სამაელის მიერ იყო ჩაგონებული.

[16] ღმერთის მიერ გველის ყარაულად - "შეკრედ" - დაყენებას ქართლურ პოეტურ ვარიანტშიც ვხვდებით: "შეკრედ ერთი გველი მისცა, ყარაულად დაუყენა. ქვევიდან ეშმაკი მოდის გაწუწული, ძაან სველი" (სისველე წყლის, ანუ ქაოსის სტიქიას მიანიშნებს, რაც ასევე გამოკვეთილია კახურ ვარიანტში - პოეზია, 1973, გვ. 107). გველი კარს არ უღებს ეშმაკს, რადგან იუდას ამსგავსებს; ეშმაკი კი თვითონ სწყევლის გველს და სოროში ჩააძვრენს (პოეზია, 1973, გვ. 106-107).

[17] ებრაული მიდრაშებში გველი ისჯება იმით, რომ კარგავს ლაპარაკის უნარს, წაერთვა მას ფეხები და ხელები, კარგავს ვერტიკალურად სიარულის უნარს და მიესჯება მუცელზე ხოხვა (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 79-80).

რადგან ადამის პირველყოფა ფრინველთან, ზეციურ არსებასთან არის დაკავშირებული ხალხურ ცნობიერებაში. ამ მხრივ საინტერესო ინოვაციას გვთავაზობს ერთი აჭარული ჩანაწერი, რომელიც თინა შიოშვილს აქვს დამოწმებული: ტექსტის თანახმად, ადამი ზეციდან ჩამოსული დედალი მწყერით იკვებებოდა, რომელსაც ღმერთი დილა-საღამოს უგზავნიდა. "ერთხელ ადამმა მწყერს გამოსჭრა გვერდის ნაწილი და იქედან გააკეთა მისივე მსგავსი ადამიანი — ქალი, რომელსაც სახელად ევა დაარქვა" (თ. შიოშვილი, 2010, გვ. 85).

ადამისა და ევას სიბრმავე. ადამისა და ევას ნათლით მოსილობის გარდა, ქართულ ფოლკლორში გავრცელებულია ადამისა და ევას სიბრმავის მოტივი, რაც ვარიანტების უმრავლესობაში ერთგვარ ლოგიკურ ბმას ქმნის თავდაპირველი სიშიშვლის ვერდანახვასა და ცოდვით დაცემის შემდეგ გაჩენილ სირცხვილის გრძნობას შორის.

ქვეყნის გაჩენის მთიულურ გადმოცემაში ღმერთი აჩენს სამყაროს, შემდეგ თიხისგან ქმნის ადამსა და ევას ბრმებად, დაასახლებს ვენახში და ყველანაირი ნაყოფის ჭამას აუკრძალავს, თვითონ კი მიდის მათთვის იაგუნდის თვალების მოსატანად.[18] ამ დროს გველი შეაჭმევს ევას ყურძენს და აეხილება თვალები (თსუფა: 4929).[19]

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვხვდებით ადამისა და ევას სიბრმავეს. სხვა მთიულურ გადმოცემაშიც ადამი და ევა ბრმები არიან. მაგრამ ეს ვარიანტი იმითაა განსხვავებული, რომ დაკონკრეტებულია სატანის როლი ცოდვით დაცემის აქტში: "მცურავის" გვამში ეშმაკი შედის და "ევას ეგონა, გველი ელაპარაკებოდა და თურმე იმი(ს) მუცლიდან ეშმაკი კი ელაპარაკებოდა" (თსუფა, 4995).

ადამისა და ევას სიბრმავე გვხვდება, აგრეთვე, აპოკრიფში "ცხორებაჲ ადამისი", რომელსაც, როგორც ცნობილია, აკრძალულ აპოკრიფთა რიგს განაკუთვნებდა ექვთიმე ათონელი. ეშმაკი მოუწოდებს ევას, მივიდეს მასთან, რადგან სათქმელი აქვს: "ჰაი შენდა დედაკაცო, რომელი-ეგე ხარ სამოთხესა ფუფუნებისასა, რომელი-ეგე ბრმაჲ ხარ, მოვედ ჩემდა და გრქუა რაჲმე სიტყუაჲ!" (ს. ყუბანეიშვილი, 1946, გვ. 9).

სიბრმავე შინაგანი ხედვის გახსნილობის მეტაფორაა და ამასთანავე შინაგანი სიწმინდისა და უმანკოების მანიშნებელია. ფოლკლორში მას უშუალოდ უკავშირდება თვალის ახელის ფაქტი და სიშიშვლის დანახვა. სიბრმავე ხალხური ვარიანტია ნათლისა, რომლითაც ადამი და ევა იყვნენ მოცული, რაჭულ

[18] ადამის თვალების მოსატანად წასული ღმერთის მოტივი, გვხვდება კოპტურ აპოკრიფში - "ღმერთის მიერ ადამის შექმნა", სადაც ღმერთი მიდის, რათა ადამს თვალები მზისგან მოუტანოს https://ru.wikisource.org/wiki/Сказание_о_сотворении_Богом_Адама ტექსტის დამოწმება - 28.06.15);

[19] "იოსებ ქრისტემ თიხისაგან გააკეთა ადამიანი, ჩაბერა თავისი უკვდავი სული და გადეიქცა ადამიანად, მარა თვალები არ გაუხილავს" (მასფა: ჩამწ. ნანა გეფერიძე, სამტრედია); "ღმერთმა შეიყვანა სამოთხის ბაღში ადამ და ევა. მათ არ ჰქონდათ თვალები და უთხრათ: მე წავალ და იაგუნდი თვალებ მოგიტანთო, რომ ერთმანეთის არ შეგშურდეთო" (თსუფა: 25801); "შაბათსა ადამი და ევა შექმნა თიხისგან, ჩაბერა სული, მაგრამა თოლები არ მისცა. უთხრა იმათა რომა: თქვენ აქ იყათ ვენახშია და არაფერი ნაყოფი არ შეჭამოთო, ვიდრე მე არ მოვალო. ღმერთსა ჭიქის თოლი უნდა მაეტანა და ჩაესო იმათთვინა" (თსუფა: 4929); "ისინი ტიტვლები იყვნენ, მაგრამა სიტიტვლეს ვერ ხედავდნენ, რადგანაც ბრმები იყვნენ" (თსუფა: 4995).

ვარიანტში მას ენაცვლება "ღვატლი" — ფრინველის ბუმბული, როგორც ზეციური სხეულის სიმბოლო. სიბრმავით გადმოცემულია ის პირველქმნილი მდგომარეობა, რომელშიც ღმერთმა ადამი შექმნა და ის, როგორც ჩანს, ბიბლიაში აღნიშნულმა სიშიშვლის დანახვის ფაქტმა განაპირობა. თვალის ფიზიკური ახელა სულიერი ხედვის დახშობას მოასწავებს, რადგან დაბრმავება სულიერი ხედვის გახსნას ნიშნავს (შდრ.: ერთ-ერთ ხალხურ ნოველაში სოლომონ ბრძენი თვალს იბრმავებს, როცა მოსამართლედ აირჩევენ, რათა სამართლიანად განსაჯოს ადამიანთა ბედი).

ადამიანი — სამყაროს პატრონი. ფოლკლორში, ასევე, მოცემულია ადამიანის შექმნის მთავარი მიზანი — ის სამყაროს ბატონ-პატრონად გააჩინა ღმერთმა.[20] უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ფოლკლორში ხაზგასმულია, რომ სატანის გაამპარტავნების და ადამიანთან დაპირისპირების მთავარი მიზეზი

[20] ქართლური ვარიანტის მიხედვით, ღმერთი ვაზს გააშენებს, რომელსაც ცრემლები სდის და ადამიანს ვაზის საპატრონოდ აჩენს (ნ. შამანაძე, 1973, გვ. 30); ზოტურ ვარიანტში, სადაც დეტალურადაა მოცემული მნათობების, ანგელოზებისა და ეშმაკების, ცხოველთა და მცენარეთა შექმნა, ღმერთს გადაწყვეტილი აქვს, დედამიწაზე ხელიფე (პატრონი) გააჩინოს. ანგელოზი ღეზედილი ურჩევს, ეს არ გააკეთოს: "ვინ იცის, რაფერი იქნებაო, შენ რომ გაჯობოს რას შობიო. ღმერთმა მაინც გააჩინა ადამი. სულის ჩადგმამდე ეშმაკი მივიდა და ნახა რაცხა გაკეთებული დერგივით. დუუბაგუნა ხელი და თქუა: - კი გაჩითება რაცხა ქვეყანაზე, მარა პატრონი არაფრის არ იქნებაო (არცაა პატრონი)" (თსუფა: 16155); მესხური ვარიანტი: "მათ აბარებს მთლად ედემას, აუკრძალავს ერთ რიგ ხილსა" (პოეზია, 1973, გვ. 97); ჯავახური: "დაუმონა ყველა მხეცნი, პირით ულოკეს ფეხები" (პოეზია, 1973, გვ. 100).

[21] აპოკრიფი **"განძთა ქვაბი"** ადამის გაჩენაზე მოგვითხრობს: ღმერთმა გადაწყვიტა, რომ თავის ხატად და მსგავსად შეექმნა კაცი. "და ვითარცა ესმა ანგელოზთა ესე სიტყუაჲ, **შეშინდეს** და თქუეს ურთიერთას, რამეთუ: დღეს ვიხილავთ ((საკჳრველსა)) დიდსა, რამეთუ მსგავსი ღმრთისა დაიბადების, ვიხილავთ მარჯუენესა ღმრთისასა... და რაჟამს ანგელოზთა იხილეს ხატი ადამისი დიდებულად, შეეშინა მისგან ხილვითა პირისა მისისაჲთა ((რამეთუ)) ბრწყინვიდა დიდებითა, ბრწყინვალებითა დიდებისა ღმრთისაჲთა. და გამოვიდა, ვითარცა მზის-წუერი, სიმართლე და სინათლე თუალთაგან მისგა და ვითარცა ალი ცეცხლისა, ზარი. და ვითარვა განერთხა გუამი ადამისი და შთაბერა სული... ადამ შეიმოსა სამოსელი სამეუფოჲ და დაედგა თავსა გჳრგჳნი მეფობისაჲ" უფალი მიმართავს ადამს, რომ ყოველივეს ხელმწიფებას მისცემს და მხოლოდ მას დაემორჩილება ყოველივე შექმნილი. შემდეგ ღმერთი ქმნის ევას ადამის ნეკნისგან და დაასახლებს მათ სამოთხეში. "და იხილა ეშმაკმან, რამეთუ ადამ და ევა იდიდებიან სამოთხესა, განრისხნა სიბოროტითა თჳსითა, რამეთუ შეშურდა მათი. და შევიდა ((მუცელსა)) გუელისასა. აღიღო ზე ჰაერთა გუელმან და მიიყუანა ეშმაკი სამოთხესა"

[22] **"ცხორებაჲ ადამისი"** (უძველესი ტექსტი მე-17 საუკუნის ხელნაწერითაა შემონახული), ადამთან დიალოგში ეშმაკი თვითონ აღიარებს მისადმი მტრობის საფუძველს: "შენ გამო გამოვვარდი მე ქუეყანად. რასაცა დღესა შეიქმენ შენ, მასცა დღესა გამოვედი პირისაგან ღმრთისა, რამეთუ ოდეს შთაგბერა შენ პირსა შენსა სული, გაქუნდა შენ ხატი და მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ, და მოვიდა მიქაელ და წარმოგადგინა შენ და თაყუანის გაცემინა შენ ღმერთსა". და ჰრქუა ღმერთმან მიქაელს: შევქმენ ადამ მსგავსად ხატისა და ღმრთეებისა ჩემისა" მაშინ მოვიდა მიქაელ და მოუწოდა ყოველთა ერთა ანგელოზთასა და ჰქრუა: "თაყუანის ეცით მსგავსსა და ხატსა ღმრთეებისასა" და ოდეს მოუწოდა მიქელ და ყოველთა თაყუანის გაცემინა, და მემცა მომიწოდა და მე ვთქუ: "განმეშორე ჩემგან, რამეთუ უმრწემესსა ჩემსა არა თაყუანის ვსცემ, რამეთუ უწინა მაგისა მე უფალ ვარ და მაგის ღირს ჩემდა თაყუანის ცემად" ესე-ღა ესმა სხუათა ანგელოზთა ეჭუსთა, სთნდა სიტყუაჲ ესე ჩემი და არა თაყუანის გცეს შენ. მაშინ განრისხნა ღმერთი და უბრძანა გარდმოგდებაჲ ჩემი და მათიცა ქუეყანად საყოფლით ჩუენით. ხოლო შენი უბრძანა ყოფაჲ სამოთხესა მას შინა, ოდეს გულისხმა ვყავ, რამეთუ შენდამი გამოვვარდი. და მე ვიყავ ჭირსა შინა და შენ განსუენებასა, და მოგინადირე, რაჲთა უცხო გქმნა შენცა საშუებელისა მისგან საშუებელისასა, ვითარცა მე უცხო ვიქმენ შენითა" ამ სიტყვებზე ადამი ლოცვას აღავლენს უფლის მიმართ, რათა დაიხსნას იგი ეშმაკისაგან, ეშმაკი კი მაშინვე გაქრება: "მას ჟამსა უჩინო იქმნა ბელიარ" (ს. ყუბანეიშვილი, 1946, გვ. 5).

სწორედ ეს არის. ეს მოტივი, ასევე, კარგად ჩანს ორ ქართულ აპოკრიფში: "განძთა ქვაბი"[21] და "ცხოვრებაᲲ ადამისა."[22]

ქართულ ზეპირ გადმოცემებში თითქმის არ არის წარმოდგენილი ანგელოზების, უხორცო და უსქესო არსებების წარმოშობა. შედარებით ინფორმაციული ამ მხრივ აჭარული ფოლკლორია, სადაც ღმერთი ჯინებს "წინწკლიდან" (ცეცხლის ნაპერწკლისგან) ქმნის.[23] მათ ადამიანის შეხედულება ჰქონდათ, მაგრამ მაქციობის უნარს ფლობდნენ: "წინწკლიდან ღმერთმა გააჩინა ჯინნი. გოუჩინა იმას დედალი ჯინი. ესენი დაცოლქმარდნენ. შეხედულება ადამიანის ქონდა, დამჭირდებიან, ხან ვირად იქცევიან, ხან ჯორად" (თსუფა: 16155).

ბიბლიური სატანის მუსლიმური ვარიანტის — შაითანის (არაბ. გააძევა, გააგდო, მოიკვეთა, ექსორია უქმნა — გ. ლობჟანიძე, 2006, გვ. 389) ისტორია გვხვდება ყურანის II სურიდან, სადაც ის ანგელოსთაგანია და ასევე XVIII სურიდან, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ ის ჯინთაგანი იყო (გ. ლობჟანიძე, 2006, გვ. 390). გ. ლობჟანიძეს მოჰყავს ყურანის კომენტატორის, არ-რაღ იბ ალ-ისბაჰანის განმარტება: "ჯინი ორი ტიპის არსებას ეწოდება. ერთი ისეთი სულიერია, რომელიც ხილული არ არის და ამ შემთხვევაში ანგელოზებიც და შაითანებიც ჯინის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ყოველი ანგელოსი ჯინია, მაგრამ ყოველი ჯინი ანგელოსი არ არის — (გ. ლობჟანიძე, 2006, გვ. 390). აჭარულ ტექსტშიცაა მოცემული ანგელოზებისა და ჯინების დიფერენცირების საკითხი და მათი დინამიკა: ღმერთმა ჯერ ცეცხლისგან შექმნა ჯინები, მერე მათი ნაწილი — ღეზედილის მეთაურობით აიყვანა ცაში და ანგელოზობა მიანიჭა: "...დღესაც ანგელოზებად არიან. ძირს რომ დარჩნენ, კიდო გამრავლდნენ, მარა აღარც გამჩენელი ღმერთი იცნეს. ეს ღეზედილი ცაშია. ძირს რომ დანაშაულობა ჩაიდინეს, ღეზედილს უბრძანა: თავი მუუყარე ძირს დარჩენილებსო. ღეზედილმა მუუყარა თავი აფრიკაში, ღეზედილს უთხრა, ზღვაში შეიო. ღმერთმა გამუუშვა ჯოჯოხეთის წვიმა და ჯინები აქცია მუმლად (პარადოქსი — ცეცხლისგან შექმნილი ცეცხლით იწვება — ე.ი.). ცეცხლმა დაწუა ყოლიფერი. ღეზედილი ევიდა ცაში და ათასი წელი ანგელოზებმა იარსებეს.

ღმერთმა თქუა, დედამიწაზე ხელიფე[24] უნდა გავაჩინოო. ღეზედილმა უთხრა, ნუ გააჩენო, ვინ იცის, რაფერი იქნებაო. შენ რომ გაჯობოს, რას შობიო.

ღმერთმა მაინც გააჩინა ადამი. სულის ჩადგმამდე ეშმაკი მივიდა და ნახა რაცხა გაკეთებული დერგივით. დუუბაგუნა ხელი და თქუა: - კი გაჩთება რაცხა ქვეყანაზე, მარა პატრონი აფერის არ იქნებაო (არცაა პატრონი); მერე ეშმაკმა დააფურთხა ჭიპის ადგილზე. ჯიბრაილმა (მთავარანგელოზიაო — მთქმელის განმარტება) ამოგლიჯა ეს ადგილი (მიწა), გადააგდო და აქეიდან

[23] "ყველაზე პირველათ სამოთხეში ეშმაკი გაჩნდა ცეცხლიდან, მაგრამ ეშმაკმა არაფერი სიკეთე არ მოიტანა. ამიტომ ღმერთმა წინასწარმეტყველებს უთხრა, რომ ადამი უნდა გააკეთოთო" (ზ. თანდილავა, 1990, გვ. 93).

[24] სიტყვა ხელიფე (არაბ. ხალიფას ვერსიაა, ნიშნავს შემცვლელი, მცვლელი - გ. ლობჟანიძე, 2006, გვ. 400) ადამიანის ფუნქციას აღნიშნავს, რაც ღმერთის შემცვლელობაში გამოიხატება: "უთხრა (შენმა) უფალმა ანგელოსებს: მე დავადგენ ქვეყანაზე ჩემს შემცვლელსო" (ყურანი **II,28**).

[25] აჭარული ფოლკლორი იმითაც განსხვავდება ანთროპოგონიის საერთო ქართული სურათისგან, რომ ადამიანის გვერდით მოცემულია ძაღლის შექმნაც: როდესაც წინასწარმეტყველები ადამის სხეულს შექმნიან, მას ეშმაკს აჩვენებენ. ის დააფურთხებს ადამს, რის გამოც, მას სამოთხიდან აგდებენ, ადამს დანაფურთხებს ამოკვეთენ და მისგან ძაღლს შექმნიან. ასე აიხსნება აჭარულ ფოლკლორში ადამიანისა და ძაღლის განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულება (ზ. თანდილავა, 1990, გვ. 94).

ძაღლი გახთა და შეუყეფა. ამიზა უყვარს ძაღს პატრონი. ძაღს რაც კაი აქ, პატრონს რომ ემსახურება, ანგელოზებმა რომ ხელი მოკიდა, იქიდანაა. ძაღს რაც ბლახა აქ, კაცს რომ ერჩის, ეშმაკის ფურთხიდანაა.[25]

გამუუშვა ღმერთმა მიწაზე ანგელოზები, ადამი გამოცადეთო. რაც კითხეს ადამს, ყოლიფერზე უპასუხა.

- რომ მიშლიდით, არ გააჩინოო, ახლა რაღას შობითო?

- ბოდიში, გამჩენელო ღმერთოო, - უთხრეს ანგელოზებმა.

- აბა ახლა ადიდეთო!

ანგელოზებმა ადიდეს, მარა ღეზედილმა არ ქნა, მე რეზა უნდა ვადიდო, თვითონ მადიდოსო. მაშვინ გადმუაგდო ღმერთმა ციდან ღეზედილი".[26]

სხვა აჭარულ ვარიანტშიც განსხვავდება ერთმანეთისგან მელაიქები (ანგელოზები) და ეშმაკები - ჯინები. ჯენნეთში (სამოთხეში) "ეშმაკები ბევრი იყო. ღმერთმა მელაიქებს და ეშმაკებს უბრძანა, ელოცათ ადამისა და ჰევასათვის, რათა ჯენნეთში დარჩენილიყვნენ. მელაიქებმა ილოცეს, მაგრამ ეშმაკებმა არა. მათ თქვეს, რომ ჩვენ არ ვილოცავთ. მაგენი მიწიდან გაკეთებულია, ჩვენ კი ცეცხლიდანო".[27] როგორც მოსალოდნელი იყო, აჭარული ფოლკლორი ყურანის მკვეთრ გავლენას განიცდის: "და აი, ვუბრძანეთ ანგელოსებს: თაყვანი ეცით ადამს! - და თაყვანი სცეს, იბილისის გარდა. მან უარყო, თავი განიდიდა და შეიქმნა ერთი ურწმუნოთაგანი" - (ყურანი, II, 32). შაითანი (სატანა)/იბილისი (ბერძნული "დიაბოლოს" - ეშმაკი - არაბული ვერსიაა) აჭარულ ფოლკლორში შეცვლილია ღეზედილით.

გაამპარტავნებული ანგელოზის თემა გვხვდება, აგრეთვე, რაჭულ გადმოცემაში: იესო ქრისტემდე დიდი ხნით ადრე ყველა, ვინც მოკვდებოდა, ჯოჯოხეთში ხვდებოდა. "ღმერთი რო არი ახლა, იმას ყავდა თორმეტი ანგელოზი. ე(ს) თორმეტი ანგელოზის უფროსი იყო ერთი და ყოველ დილას თორმეტივე ფეხებქვეშ უმღეროდნენ ღმერთს ალილუიას. ერთხელ უფროსმა უთხრაყე დანარჩენებს: რად უმღერით ამას ასე სულაო, ქვე ჩემზე მეტი ძლევა კი არა

---

[26] იუდაისტური გადმოცემით (**Bereshit Rabbati 70**), როდესაც ყველა ანგელოზი უსიტყვოდ დაემორჩილა ადამს, სამაელი აპროტესტებდა, თუ რატომ უნდა დამორჩილებოდა ის ფერფლისაგან შექმნილ არსებას; ამ მიზეზით გააგდო ღმერთმა ზეციდან სამაელი, რომელიც გამოედო მიქაელის ფრთას და ლამის თან ჩაიტანა, მაგრამ ღმერთმა არ დაუშვა ეს (რ. გრეივსი, 2008, გვ. 120).

ეს მოტივი, ასევე, ცნობილია აპოკრიფში "ადამის ცხოვრება" (**Vita Adae XIII, 1-16**): სამაელი იეჰვიანებს ადამზე, რომელსაც დედამიწის ყველა მცხოვრები უნდა დაემორჩილოს, გადაიქცევა გველად და შედის სამყაროში. სამაელს არ სურს, რომ მასზე უფრო გვიან შექმნილ ადამს დაემორჩილოს, ამიტომ უპირისპირდება ღმერთს და სურს, თავი გამოაცხადოს უმაღლეს ღმერთად (რ. გრეივსი, 2008, გვ. 119).

[27] ქეთევან სიხარულიძეს თავის ნაშრომში "კავკასიური მითოლოგია" მოჰყავს ნოდაური მითი: "ღმერთმა მიწისგან შექმნა ადამიანი, მაგრამ ის ცარიელი იყო, როგორც თიხის ჭოთანი. ღმერთმა შთაბერა სული და ეს ქმნილება ნამდვილ ადამიანად აქცია. ღმერთმა გამოუცხადა ანგელოზებს (რომლებიც ზეციური სინათლისგან/ცეცლისგან არიან შექმნილნი ადამიანის შექმნამდე), რომ მან მიწის ბატონი შექმნა და მათ თაყვანი უნდა ეცათ ადამიანისთვის. ერთმა ანგელოზმა თავისი ამალით უარი განაცხადა: "არ ეკადრებათ ნათლისაგან შექმნილთ, ეთაყვანონ მიწისაგან შექმნილს" განრისხებულმა ღმერთმა ისინი ეშმაკებად აქცია და ქვესკნელში ჩაყარა, ყველა ქმნილებაზე უფრო დაბლა მოაქცია, ამიტომ განდევნილი ანგელოზები – ეშმაკები მტრობენ ადამიანს, რადგან იგი მიაჩნიათ საკუთარი უბედურების მიზეზად და ცდილობენ შემოქმედთან მის დამცირებას (ქ. სიხარულიძე, 2009, გვ. 232).

აქვსო. ეს გაიგო ღმერთმა და მის შემდეგ გაჩნდა ელვა და ბრუხუნი ქვეყანაზე. ღმერთმა ისინი გადმოყარათ მიწაზე. რომლებმაც თქვენ - შენ გიგალობებთო, ისინი დატოვა, დანარჩენები კი გადმოყარა დედამიწაზე. უფროსმა ეს არ უთხრა. გადმოაგდო ის და წარმოიშვა მისგან ეშმაკი" (თსუფა: 25801); მესხური გადმოცემით, "ანგელოზებს ღმერთისთვინა თავი უმდაბლებიან, ღმერთი უნდა ვადიდოთო. ღმერთს ამ ქვეყანაში ანგელოზები გადმოუყრია, ადამიანიშვილი გაუჩენია" (თსუფა: 3684). ვარიანტებში ჩანს, რომ ეშმაკი უპირისპირდება ადამიანს, როგორც მისი ზეციდან გამოდევნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. ზოგჯერ ეშმაკის დაპირისპირების მიზეზად შურია აღნიშნული, რომელსაც ადამის უზრუნველი ცხოვრება შეშურდება. აჭარული ტექსტი აღნიშნავს, რომ ადამი "მხოლოდ სურნელებით იკვებებოდა" (მასფა: ბობოყვათი, 1970),[28] რითიც ადამისა და ევას სულიერ საკვებზეა გადატანილი აქცენტი;[29] ამავე მიზეზით უნდა იყოს სხვადასხვა ვარიანტში ადამის საკვებად ზეციდან ჩამოცვენილი ფრინველი: "დღე მუდამ ჩამოდიოდა ზეციდამ გაფცქვნილი მწყერი"[30] (პოეზია, 1973, გვ. 102).

ედემის ბაღი. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიურ ედემის ბაღს მრავალი ვარიანტი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა მითოლოგიაში, მათი მთავარი არსი იდენტურია: ღმერთმა თავდაპირველად ადამიანი უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრებისთვის შექმნა და ისიც ცხოვრობდა სამყაროში ჰარმონიულად.

ღმერთმა ადამი და ევა სამოთხის ბაღში დაასახლა. ბიბლიაში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი ედემის ბაღი. ასევე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ბიბლიური სამოთხის ბაღი ფოლკლორში, სადაც ადამიანი უზრუნველად და განცხრომით ცხოვრობს:

"ადამიანს ედემი აქვს, ვერა ძღება სიტურფითა;
არცა იცის ტანჯვა რაა, არც მოკვდების სიტურფითა;
არცა იცის ტანჯვა რაა, არც მოკვდების სიკვდილითა.
შიგ შუა გულ ედემისა ტახტი იდგა ზურმუხტისა,
ოქროს ზოდის ფეხები აქვს, გუმბათია ლაჟვარდისა.[31]
ანგელოზთა გუნდი გალობს, ადიდებენ შემომქმედსა" (პოეზია, 1973, გვ. 97).
"ადამ ნათლით შემოსილსა არ უნდოდა ტანსაცმელი,

---

[28] სამოთხის ჰაერით იკვებებიან ბიბლიური შესაქმის აფხაზური ფოლკლორიზაციის გმირები ადამი და ანამი. ისინი არ მუშაობენ, ჰყავთ სამი შვილი. აფხაზური გადმოცემა იმით გამოირჩევა, რომ მათ შვილები სამოთხიდან გამოძევებამდეც ჰყავთ (ს. ზუხბა, 1988, გვ. 154).

[29] ებრაელი რაბინები არაერთგზის აღნიშნავენ, რომ ადამისა და ევას საკვები ედემის ბაღში სულიერი ბუნების იყო; ცოდვით დაცემამდე ადამი და ევა იღებდნენ ისეთ საკვებს, რომელიც მათ ფიზიკურ ბუნებას კი არ აღრმავებდა, არამედ სულიერად ამაღლებდა (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 60).

[30] ნ. შამანაძის დაკვირვებით, გაფრცქვნილი მწყერის სახე-სიმბოლო, რომელიც უზრუნველი ცხოვრების წყაროდ მიიჩნევა, სრულიად ახალია ქართულ ხალხურ შემოქმედებაში და, მისივე აღნიშვნით, არც სხვა ხალხთა ფოლკლორში დასტურდება (ნ. შამანაძე, 1973, გვ. 34-35). მწყერის სახე-სიმბოლო მოსეს ეპიზოდის გამოძახილი უნდა იყოს ხალხურ ტექსტში, როდესაც შიმშილის გამო უდაბნოში ხალხი ნანობს ეგვიპტიდან წამოსვლას და უფლის ბრძანებით "საღამოხანს მოფრინდა მწყერი და დაფარა მთელი ბანაკი; დილით კი ცვრით იყო მოფენილი მთელი ბანაკი" (გამ. 16,13).

[31] ებრაელ ხალხში არსებობს რწმენა, რომ ედემის ბაღში ანგელოზები უგალობდნენ ადამსა და ევას, ხოლო მნათობები — მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ცეკვავდნენ მათთვის. უფალმა თვითონ დაამზადა ძვირფასი მარგალიტებით მოოჭვილი მაგიდები, მოაწყო ხუფა, საჭორწილო ბალდახინი და აკურთხებდა წყვილს (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 65).

არც მუშაობა უნდოდა, სარჩო ჰქონდა ძველისძველი.

დღე მუდამ ჩამოდიოდა ზეციდამ გაფრცქვნილი მწყერი" (პოეზია, 1973, გვ. 102).

აკრძალვა-დარღვევა. ადამიანური ბუნება დასაზღვრულია სამოთხის ბაღშიც კი და მას, მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველად ცხოვრობს და თავისუფალი ნებაც აქვს მინიჭებული უფლისგან, აკრძალული აქვს ხე ცნობადის ნაყოფის გასინჯვა. ფოლკლორში გამეორებულია აკრძალული ნაყოფის გასინჯვის მოტივი, თუმცა მონაცვლეობს თვითონ ნაყოფის სახეობა:[32] ეს ხან ვაშლია, ხან - ლეღვი, იშვიათად - ყურძენი,[33] ხოლო აჭარულ გადმოცემებში პურის კაკალსაც კი ვხვდებით: როდესაც გაბრაზებულმა ღმერთმა ეშმაკები ჯენნეთიდან გამოყარა და შესვლა აუკრძალა, მათ მოისურვეს, ადამი და ევაც გამოეგდოთ ჯენნეთიდან. "ერთი ეშმაკი გადაიქცა გველად და შეიპარა ჯენნეთში. ადამიანის სახე მიიღო და ჰევას დაუახლოვდა. მან ჰევა შეაცდინა და პურის კაკალი აჭამა, თან დაუბარა ადამსაც აჭამეო. აჭამა ჰევამ პურის კაკალი ადამსაც. საერთოდ, ჯენნეთში პურის ჭამა არ შეიძლებოდა და გაბრაზებულმა ღმერთმა ორივე გამოყარა. ერთი აღმოსავლეთით გადაისროლა, ხოლო მეორე — დასავლეთით" (მასფა, ბობოყვათი).

აკრძალვის განსაკუთრებული შემთხვევასთან გვაქვს საქმე იმერულ ვარიანტში, რომელიც აკუსტიკურ ხასიათს ატარებს: ბრმა ადამსა და ევას ღმერთი უკრძალავს ვინმესთვის ხმის გაცემას. ადამი არ გასცემს ეშმაკს ხმას, ევა კი შეეხმიანება და შედეგად თვალები აეხილება. შემდეგ ეშმაკი ლეღვის რძეს მისცემს ევას, რათა ადამს თვალებზე მოუსვას და ისიც გაახელს თვალებს (მასფა: სამტრედია, ჩამწერი ნანა გეფერიძე). ხსენებულ ჩანაწერში ჭამის ფაქტი საერთოდ არ გვხვდება, მას ხმის გაცემა ენაცვლება, ხოლო ბრმა ადამისთვის თვალებზე ლეღვის რძის მოსმით ევას ძალადობაა ხაზგასმული.

საინტერესოა, რომ აკრძალვის სვანურ ვარიანტში ადამს და ევას აცდუნებს არა გველი, არამედ სამაელი (ეშმაკი) თხის სახით და ვაშლის ჭამას შესთავაზებს მათ (ბ. ნიჟარაძე, 1962, გვ. 139).

რასაკვირველია, აკრძალვის მეწყვილე ფუნქცია მისი დარღვევაა. ადამის მიერ აკრძალული ნაყოფის ჭამა შეფასებულია როგორც ურჩობა, რომლის გამოც პასუხი უნდა აგოს ადამიანმა. და ეს ერთი შეხედვით მარტივი მითი, რომელსაც ებრაელთა საღვთო წიგნი გადმოგვცემს, ნებისმიერი რელიგიის უმთავრეს პრინციპს - მორჩილებას ეფუძნება. ურჩობა იქცა ცოდვით დაცემის მიზეზად და არა გონებრივი სიჩჩვილე, როგორც ხშირად განმარტავენ ადამის მდგომარეობას. ცოდვით დაცემამ ადამი დააშორა ღვთის ხატს, ნიშნავს ღვთის

---

[32] ებრაულ მიდრაშების სხვადასხვა ვერსიაში განსხვავებული სახეობის ხილია მოცემული: 1) ყურძენი, რადგან არაფერს ისეთი ზიანი არ მოაქვს ადამიანისთვის, როგორც ყურძენს, რომლისგანაც ღვინო იწურება და რომელიც დამანგრეველად მოქმედებს სუსტ ადამიანებზე; 2)ხორბალი, რომელიც ადრე ხეზე იზრდებოდა – ის ცოდნის სიმბოლოა და ამიტომ შეიძლება უკავშირდებოდეს ხე ცნობადს; 3) ლეღვის ხე – ადამი და ევა ლეღვის ფოთლებით იმიტომ შეიმოსნენ, რომ არც ერთმა ხემ მათ ფოთოლი არ მისცა გარდა ლეღვისა, რომლის ნაყოფიც მათ იხილეს (მ. ვეისმანი, 1990, გვ 71-75)

[33] ყურძენი ცნობილია ებრაულ ტრადიციაშიც: როდესაც ევამ ადამს ნაყოფი მისცა, თავიდან ის უარზე იყო, ხოლო შემდეგ ევამ მას ამ ნაყოფის წვენი მიაწოდა და დაჟინებით მოსთხოვა მისი დალევა; მიდრაში ამბობს, რომ ადამმა ვეღარ გაუძლო ევასთან კამათს, მის ზეწოლას და დალია აკრძალული ნაყოფის წვენი (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 72-72).

ხატად ქმნილი ადამი სულიერად და გონებრივადაც უფრო ახლოს იყო ღმერთთან, ანუ უფრო განვითარებული, ვიდრე თანამედროვე ადამიანი.

დასჯა. როგორც ღმერთის მიერ აკრძალვას აუცილებლად მოსდევს მისი დარღვევა ადამიანისგან, ისე აკრძალვის დარღვევას მოჰყვება საპასუხო რეაქცია უფლისგან - დასჯა. უფლის მთავარი სასჯელი - უკვდავების დაკარგვა - ფოლკლორულ ჩანაწერებში იშვიათად გვხვდება,[34] ებრაული ტრადიციისგან განსხვავებით, სადაც მთავარი აქცენტი სწორედ უკვდავების დაკარგვაზეა გადატანილი: "როგორც კი შეჭამა ევამ ხილი, მას სიკვდილის ანგელოზი გამოესახა" (მ. ვეისმანი, 1990, გვ, 71); ის შეიპყრო ეჭვმა, რომ მოკვდებოდა და ადამს სხვა ქალს გაუჩენდა ღმერთი, ამიტომაც დააძალა ადამს აკრძალული ხილის გასინჯვა (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 72).

მიუხედავად იმისა, ქართულ ფოლკლორში სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი ღმერთის მიერ სამოთხის მკვიდრთა დასჯის პირობები (ადამი ისჯება შრომით, ევა - მშობიარობის სირთულით, გველი - მიწაზე ხოხვითა და კაცთა მოდგმასთან მტრობით), ინოვაცია ამ თვალსაზრისით მაინც გვხვდება. ხალხისთვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა სასჯელის ბიბლიური ფორმა, რადგან ის ემპირიული სინამდვილითა და გამოცდილებით იქნებოდა შთაგონებული თვითონ ებრაელთა საღვთო წიგნშიაც; რამდენიმე ვარიანტში კი ხალხური მთქმელი ცოდვით დაცემას ეშმაკის დამონებას უკავშირებს:

"ხუთი ათას წელიწადსა სასუფეველი დაკეტა,
გამრავლდა ურჯულოება, ჯოჯოხეთი დაახვედრა,
არ გაწყდენ წყალ-რღვნით, არ ცეცხლით
ყველა კაცსა დააყვედრა,
ადამის ჩამომავალი ეშმაკებს ყმად დაევედრა" (პოეზია, 1973, გვ. 105-106).

სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს ჩაწერილი ქართული ფოლკლორული მასალის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბიბლიური შესაქმის ეპიზოდი ქართულ ყოფაში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა: გვხვდება როგორც პოეტური და პროზაული, ისე შერეული ტექსტები. მხატვრული თვალსაზრისით, ეს ტექსტები საკმაოდ მდარე ხარისხისაა, იშვიათად ვხვდებით ორიგინალურ მხატვრულ სახეებსა და მეტაფორებს, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ორი ურთიერთგამომდინარე მიზეზი აქვს: ბიბლიის ფოლკლორიზაციისას ნარატივს, ამბავს მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ელემენტს, რაც თვითონ საკითხის მნიშვნელობით იყო განპირობებული; ფოლკლორში შემონახული ბიბლიური ცოდნა ხალხში ეპიზოდების, სიუჟეტების სახით ვრცელდებოდა და არა დიდაქტიკურად, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებდა. სალექსო ფორმაც ბიბლიურ ამბავს საზოგადოებისთვის უფრო მისაღებსა და ახლობელს ხდიდა, ხოლო რელიგიური მნიშვნელობისგან ის პრაქტიკულად დაცლილი იყო.

---

[34] ერთადერთი გამონაკლისია აკაკის კრებულში გამოქვეყნებული მესხური ლექსი, რომელშიც უფალი ქერუბინებს მახვილებს აძლევს და ადამის დასჯას უბრძანებს: "ადამს ნუღა შემოუშვებთ, არ ანახოთ მდინარები: ვეღარ ნახოს უკვდავება, ვერცა უკვდავი ბაღები" (პოეზია, 1973, გვ. 101).

დამოწმებული ლიტერატურა

თ. ბუაძე, 2014 - თ. ბუაძე, სულთმოფენობა, წიგნში: სულთმოფენობა, სერია — რჯული ქრისტესი, "ალილო", თბ., 2014, გვ. 6-10.

რ. გრეივსი, 2008 - Роберт Грейвс, Рафаэль Патай. Иудейские мифы: книга Бытия. М.: АСТ, 2008. Пер. с англ. Л.И.Володарской.

მ. ელიადე, 1998 - Элиаде Мирча, Азиатская алхимия, Москва, 1998.

მ. ვეისმანი, 1990 - Рабби Моше Вейсман, Мидраш рассказывает, Берешит I. Иерусалим: «Швут Ами», 1990.

ს. ზუხბა, 1988 - ს. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ, 1988.

ზ. თანდილავა, 1990 - ფოლკლორული მასალები — შეკრიბა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზ. თანდილავამ — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X, თბ., 1990, გვ. 93-124.

გ. ლობჟანიძე, 2006 - განმარტებანი — ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, კავკასიური სახლი, თბ., 2006.

გ. მახარაშვილი, 2004 - გ. მახარაშვილი, შესაქმის ლეგენდა აჭარულ ფოლკლორში — კრიტერიუმი, N 11-12, თბ., 2004, გვ. 155-156.

მეშკოვი, 1996 - მეშკოვი, Теория парадокса, Иерусалим, "Эрец Исраэль", 1996.

ბ. ნიჟარაძე, 1962 - ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწერები I, თბ., 1962.

პოეზია, 1973 - ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვთ. II, თბ., 1973.

ქ. სიხარულიძე, 2009 - ქ. სიხარულიძე, იბერიულ-კავკასიური მითოლოგია, თბ., 2009.

ჯ. ფრეზერი, 1989 - Дж. Фрэзер, Дж., Фольклор в Ветхом Завете. М.: 1989.

ს. ყუბანეიშვილი, 1946 - ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედ., თბ., 1946.\

ნ. შამანაძე, 1973 - ნ. შამანაძე, ქართული ხალხური ლეგენდები, თბ., 1973.

თ. შიოშვილი, 2010 - თ. შიოშვილი, სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნის მოტივი აჭარულ შესაქმის ლეგენდაში — ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010.

თსუფა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი.

მასფა - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორის არქივი.

ETER INTSKIRVELI

ON THE FOLKLORIC TRANSFORMATION OF THE BIBLICAL -ANTHROPOGONY

Anthropogony in folklore is chiefly related to cosmogonic myths. Georgian folklore mostly repeats the motives of the Biblical creation of the world. The given paper focuses on the comparative analysis of Georgian folklore and the Bible with regard to every stage of anthropogony – creation-prohibition-violation – punishment. Comparative analysis is also made with regard to Hebrew tales, Georgian and Coptic apocrypha, expressive-stylistic devices considered as folk innovations (the blindness of Adam and Eve, the clothes made of feathers, food etc.). Special analysis is made of Acharian folklore, which is a peculiar phenomenon within the Georgian folklore, due to the apparent influence of the Moslem religion.